

ექსპორტის დაფინანსების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო
ბიზნეს გარიგებებში

ანანო ჟორჟოლიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამართლის (ბიზნეს) სამაგისტრო პროგრამა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კალანდაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2016

ექსპორტის დაფინანსების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებში აბსტრაქტი

თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს ექსპორტსა და იმპორტს. სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება ეთმობა ექსპორტის დაფინანსებას, მის იურიდიულ ბუნებას და მისი განხორციელების სხვადასხვა საშუალებას.

მოცემული ნაშრომის მიზანია ექსპორტის დაფინანსების სამართლებრივი ასპექტების განხილვა და კვლევა საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებში. ავტორი შეეცადა კვლევის საფუძველზე ნათლად ეჩვენებინა თუ ექსპორტის დაფინანსების რა საშუალებებს მიმართავენ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დროს, რომელი მათგანია ყველაზე ხელსაყრელი და რომელი გამოიყენება სხვებთან შედარებით ხშირად, სწორედ ამიტომ ავტორი განიხილავს აკრედიტივს, ფაქტორინგს, ფორფეიტინგსა და ლიზინგს, როგორც ექსპორტის დაფინანსების ძირითად საშუალებებს და, ასევე, საბანკო გარანტიას, რომელიც აღნიშნული ოპერაციების განუყოფელ ნაწილად გვევლინება. ნაშრომი საკმაოდ პოზიტიურად განიხილავს თითოეულ ზემოჩამოთვლილ ექსპორტის დაფინანსების საშუალებას და ცდილობს მკითხველს არ შეუქმნას წარმოდგენა, თითქოს ავტორი, რომელიმე მათგანს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის რომ ავტორი ობიექტურად გამოყოფს და ასაბუთებს მოყვანილი საშუალებების უპირატესობებს ერთმანეთთან, თუ რომელი მათგანი გამოირჩევა სავაჭრო პრაქტიკაში პოპულარობით, რისთვისაც დაიხმარს პირველად და მეორად წყაროებს, რომელთა ავტორებადაც გვევლინებიან არამხოლოდ ქართული სამართლის მეცნიერები არამედ სხვა ქვეყნების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც, ასევე, ავტორი არ ივიწყებს ზემოჩამოთვლილი ოპერაციების ნაკლოვანებებსაც და კრიტიკულად განიხილავს მათ.

ავტორი მოცემული ნაშრომით მაქსიმალურად ცდილობს, თითოეული განხილული ელემენტის თვალნათლივ წარმოჩენას რისთვისაც იყენებს რამდენიმე გრაფიკულ ნამუშევარსა და სქემას.

ძირითადი საბიზო სიტყვები: ექსპორტი, იმპორტი, აკრედიტივი, ლიზინგი, ფორფეიტინგი, ფაქტორინგი.

Abstract

In modern international trading relations export and import hold an integral role. Because of this we pay big attention to financing export, its juridical nature and implementations of means.

Aim of this paper is examining juridical aspects of export financing and its analysis in international business arrangements. Author tried, based on research, to clearly show which financial means are used in international trading relations, which of them are more profitable and which are used more commonly. This is precisely why author discusses letter of credit, leasing, factoring and forfeiting. These are main sources of export financing. Author also discusses banking guarantee which is indivisible part of listed operations. Paper discusses listed export financing means sufficiently positively and tries to not create concept to readers that allegedly she prefers one of the means more than others. But we should note that author objectively separates them and substantiates advantages of means to each other, which of them are more popular in trading practice. To achieve this author assists primary and secondary sources, authors of these sources are not only Georgian juridical researchers but distinguished representatives of other foreign countries. Besides, author takes in consideration imperfections of financial means and critically analyses them.

With this paper author tries at most to present each discussed element visually for what she uses several graphics and diagrams.

Keywords: export, import, letter of credit, leasing, forfeiting, factoring.